ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1130405

ნომერი: AR1198118

თარიღი : 18.02.2014

გაცემის თარიღი : 21.02.2014

გაცნობის თარიღი : 25.02.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანბარელი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანბარელი , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარი მელიქიძე პ/ნ 35001035559
- თბილისი ზაჰესი თავისუფლების ქ. N 23

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1198118 18.02.2014წ განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ დასაზუსტებელია მოთხოვნა არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟი ხდება და ახალი შენობის განთავსება თუ რეკონსტრუქცია (შესაძლებელია საპროექტო ტერიტორია მონიშნოთ საკადასტრო გეგმაზე), ასევე იმისთვის, რომ სამსახურმა მოახერხოს აღნიშნული საკითხის განხილვა საჭიროა წარმოადგინოთ #01.11.12.018.048 საკადასტრო ერთეულის საკადასტრო გეგმა ან საკადასტრო რუკა, რომლის მოსამზადებლად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა წარუდგინოთ მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია (UTM კოორდინატთა სისტემაში). ასევე #01.11.12.018.049 საკადასტრო ერთეულის განახლებული საკადასტრო გეგმა;

ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს გენგეგმა პარკირების და მისასვლელი სამანქანო გზის ჩვენებით, ასევე ამ გზით სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი;

ნაკვეთის მიმდებარედ ფიქსირდება ელექტრო პუნქტი, გამომდინარე აქედან დაცულ უნდა იქნეს მათთან დაშორების სამშენებლო ნორმები და მშენებლობის ნებართვის შემდგომ სტადიაზე წარმოადგინილი უნდა იქნეს თანხმობა შესაბამისი სამსახურიდან;

ტექნიკური გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 18 თებერვალს საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 8 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი. ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არისშეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.